

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №2

2023 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

**„ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/09/2015, 430210000.10.003.018862) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის:

#### **1. მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის კოეფიციენტები განისაზღვრება:

##### **ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:**

ა.ა) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 1.75-ით;

ა.ა<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.41-ით;

ა.ბ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 1.74-ით;

ა.ბ<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 2.40-ით;

ა.გ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 1.73-ით;

ა.გ<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 2.34-ით;

ა.დ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 1.70-ით;

ა.დ<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 2.30-ით;

ა.ე) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 1.68-ით;

ა.ე<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 2.26-ით;

ა.ვ) ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 1.65-ით;

ა.ვ<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება 1269 მოსწავლეს – 2.22-ით;

##### **ბ) არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების პირველიდან მე-8 კლასის ჩათვლით:**

ბ.ა) არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 1.70-ით;

ბ.ა<sup>1</sup>) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა განისაზღვრება 170-დან 205 მოსწავლის ჩათვლით – 2.37-ით;









ლარით;

ბ<sup>1</sup>) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ<sup>1</sup>“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 85 000.00 ლარით;

გ) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 63 500.00 ლარით;

გ<sup>1</sup>) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ<sup>1</sup>“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.გ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 77 000.00 ლარით;

დ) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 53 500.00 ლარით;

დ<sup>1</sup>) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ<sup>1</sup>“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 68 000.00 ლარით;

ე) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ე“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 47 500.00 ლარით;

ე<sup>1</sup>) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ე<sup>1</sup>“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 60 000.00 ლარით;

ვ) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 42 500.00 ლარით;

ზ) „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ<sup>1</sup>“ და „გ“ ქვეპუნქტის „გ.ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვაუჩერზე – 55 000.00 ლარით.“.

### **3. მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის/პუნქტის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, ყოველთვიურად გამოეყოფათ დამატებითი დაფინანსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო კაბინეტში/პუნქტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თითოეული პირის შრომის ანაზღაურებისათვის, სკოლის ექიმის შემთხვევაში – 660 ლარის, ხოლო სკოლის ექთნის შემთხვევაში – 550 ლარის ოდენობით და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის – დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“.

### **4. მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„18. არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით, სამინისტროს მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, ყოველთვიურად გამოეყოფათ დამატებითი დაფინანსება საჯარო სკოლაში ბილინგვური სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებისათვის 685 ლარის ოდენობით და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“.

### **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

